

ფართსანას წინააღმდეგ ქართული ბიოლოგიური პრეპარატი შეიქმნა



აზიური ფართსანას წინააღმდეგ საბრძოლველად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ქართული წარმოების ბიოლოგიური პრეპარატი „ბიოინსექტ 2“ დაარეგისტრირა, რომელსაც დასავლეთ საქართველოში სიმინდისა და თხილის კულტურაზე გამოცდიან.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის ბურაბ დიპარტის განცხადებით, ბიოლოგიური პრეპარატი ქიმიურთან შედარებით ნაკლებად ეფექტურია და ის ძირითადად ბიოლოგიურ მეურნეობებში ან მცირე რაოდენობის მავნებელთან გამოიყენება.

„აქამდე იყო და არის დარეგისტრირებული თურქული პრეპარატი. წერს დარეგისტრირდა ქართული პრეპარატი. შემაღვენდობა ერთნაირია, თუმცა ბიოლოგიურ პრეპარატებს ქიმიურ პრეპარატებთან შედარებით ნაკლები ეფექტურობა აქვს. ის გამოიყენება მაშინ, როცა არის ბიო მეურნეობა და იქ არ შეიძლება ქიმიური პრეპარატების გამოყენება, ან კიდევ მავნებლის რაოდენობა მცირეა. ბიოლოგიური პრეპარატის გამოყენება უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე, როდესაც მავნებელი იმყოფება ნიმფის, ანუ მატრის ფაზაში და მეტი მიმდებარება აქვს პრეპარატის მიმართ. თუ ადამიანი ბიოლოგიური პრეპარატით თავის საკარმიდამო ნაკვეთს რამდენჯერმე შეწამლავს, ადრევე სასურველ შედეგს მიაღწევს“, – აღნიშნა ბურაბ დიპარტიამ.

აზიური ფართსანას წინააღმდეგ რამდენიმე სახეობის ქართული ბუნებრივი პრეპარატია შექმნილი, თუმცა ამ დროისთვის რეგისტრაცია

მხოლოდ ერთს აქვს გავრიდი. პროცედურის თანახმად, რეგისტრაციისთვის საჭიროა სავარე გამოცდები და ექსპერტიზის დადებითი პასუხი.

Reginfo